

„მზახრი, ქირი, ბამის ერთობა შეყოვლებისადს“
შესახებ იოანე პეტრიშვილის „ბანმარტებაში“*

თერგდალეულთა ნათელმა კვალმა, აღდგენილმა ეროვნულმა თვითშეგნებამ, დვოის შეწევნით, მომავალ თაობებს გადაურჩინა ძირძველი ქართული სამხმიანი გალობა.

მას შემდეგ საუკუნე გავიდა. და აი, დღეს ქართული ეკლესიის მრავალსაუკუნოვან სამგალობლო პრაქტიკაში წნდება ბზარი; იქმნება „ბიზანტიური გალობის შემსწავლელი ჯგუფი“, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს „რთული, ქედმაღალი და ქარაფშუტული“ (!) სამხმიანი ქართული გალობის შესაბამისობას იქსო ქრისტეს სადა, უბრალო და ამაღლებულ მოძღვრებასთან¹. აღნიშნული ჯგუფი უარყოფს უველა იმ საბუთსა და არგუმენტს, რომლითაც შეიძლება ძველი ქართული გალობის ხნიერება დადასტურდეს, სარგებლობებს სხვადასხვა ქართველი მეცნიერის თვალსაზრისიდან ამოგლეჯილი ცალკეული გამონათქვამებით და ღონესა და ენერგიას არ იშურებს იმის დასამტკიცებლად, რომ სამხმიანი ქართული სამგალობლო ხელოვნება სულ ახალი, XVIII საუკუნის მოვლენაა, სადა და უბრალო ერთხმიანი ბერძნული გალობის სანაცვლოდ დანერგილი ქართულ ეკლესიაში. „ბიზანტიური გალობის შემსწავლელ ჯგუფს“ არად მიაჩნია და ხელადებით უარყოფს ქართული სამხმიანობის ხნიერების დამადასტურებელ იქსო უტყუარ საბუთსაც კი, როგორსაც იოანე პეტრიშვილის „განმარტებანი პროკლესათვს დადოხოსისა და პლატოტერისა ფილოსოფიისათვს“ „ბოლოსიტყუაში“ დაფიქსირებული ცნობა წარმოადგენს: „...ვიტყ სამთა დაბამვათა, რომელთა მიერ შეინაწევრების ყოველი შეყოვლებული: მზახრ, ჟირ და ბამ რქმულნი და რანივე მრთველობანი ძალთა და მათანი...“²

ქართველ მეცნიერთაგან მხოლოდ ორის – ე. მეტრეველისა და ვ. გვახარიას მიერ – გამოთქმული თვალსაზრისის საფუძველზე წიგნის

„ასე გალობდნენ საქართველოში“ ანონიმი ავტორები ასკენიან: „ვინაიდან აქ საუბარია სამსახურის ერთარსებაზე, ერთბუნებოვნებაზე, ამიტომ მოტანილი მაგალითი გულისხმობს არა სამხმიანობას, არამედ სამი რეგისტრის ერთი ფორმის (ბეჭრის) ერთიანობას, უნისონს. გარდა ამისა, მოტანილი მაგალითი ეხება საკრავთა ძალთა ურთიერთმიმართებას და არა საეკლესიო საგალობელს“ (ვ. მეტრეველი).

„ეს ადგილი შესაძლოა არ იძლეოდეს ქართულში სამხმიანობაზე მითითებას, რადგან ერთხმიან ჰანგსაც გააჩნია სამი რეგისტრი“ (ვ. გვახარია).³

ასეთ განაჩენს უპირისპირებს „ბიზანტიური გალობის შემსწავლელი ჯგუფი“ ძველ ქართულ მწერლობაში დაფიქსირებულ იმ უმნიშვნელოვანებს საბუთს, რომელიც თუ უფრო ადრე არა, XI საუკუნეში მიანც უსათუოდ ადასტურებს ქართულ სამგალობლო–სახიმდევრო პრაქტიკაში სამხმიანობის არსებობის ფაქტს.

გულსატკენია ფრიად! ამ განაჩენის ავტორთ მე მოვაგონებ პეტრიშვის მიერ თავისი ზოგიერთი თანამედროვის მიმართ სინაზულით თქმულ სიტყვებს: „ორითა იპყრობვოდეს უმეცრებითა: პირველ მარტივად უმეცნეობითა სასწავლოთათა, და ...მეორედ თუ მის უმეცნებისა უმეცრებითა, ...რამეთუ ძნელ სენი, არამედ უფიცეს უმეცნება სენისა.“ (ანუ, უმეცარნი რომ იყვნენ, არა უშავს, საბრალოთ არ უწყოდნენ, რომ უმეცარნი იყვნენ!).⁴

საკუთარი ხალხის ისტორიული კუთვნილების შესანარჩუნებლად და ჭეშმარიტების დასაღენად, აუცილებელია არ დასჯერდე ერთი ან ორი მეცნიერის სასურველ ვარაუდს და გაითვალისწინო ქართველ მეცნიერთა მთელი დასის განსხვავებული მოსაზრებებიც.

„მეცეთა ცხოვრების“ არსენ იყალთოელისეუ-

* უპანასენელ ხანებში ჩვენს საზოგადოებაში ქართულ მრავალხმიან გალობასთან დაკავშირებით ცხარე კამათი მიმდინარეობს. გაფითვალისწინეთ რა საზოგადოების დიდი ინტერესი ამ საკითხისადმი, გბეჭდავთ სტატიას საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის მიერ გამოცემული კრებულიდან: „ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები“. თბ. 2002, გვ. 32-39. თანხმობისათვის ამ ცენტრის მესვეურებს მადლობას მოვახსენებთ. სტატია იბეჭდება მცირეოდენი ცვლილებებით (რედ.).

ლი თარგმანების საფუძველზე „ქართულ მუსიკაში შებანებისა და ხმის შეწყობის პრაქტიკის არსებობა უკვე XI საუკუნეში სავარაუდოდ მიმინია დასკვნების გამოტანაში უაღრესად ფრთხილმა ივანე ჯავახიშვილმა.⁵

იოანე პეტრიშის თხზულება „განმარტებანი პროკლესათვს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვს“ მასში დაცული არგუმენტებით უჭირეს ხდის ი. ჯავახიშვილის თვალსაზრისს – თუ უფრო ადრე არა, XI საუკუნეში მაინც უსათუოდ, – სამხმიანობის არსებობის ფაქტს საქართველოში.

ამ განცხადების დასტურს ვხედავთ:

1. პეტრიშის ორიგინალურ მსოფლმხედველობაში;

2. „სამუსო“-ს (მუსიკის) მიმართ მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში.

3. „განმარტებანში“ უკვდაგვოფილ ქართულ სამუსიკო ტერმინოლოგიაში, რისი უარყოფაც შეუძლებელია და რომელიც უძლურს ხდის ქართული სამხმიანობის ხნიერების წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ არგუმენტს.

„განმარტებანს“, როგორც ქართული სამხმიანობის ხნოვანების დამადასტურებელ უძველეს წერილობით წყაროს, შეფასებას აძლევენ:

• ს. გორგაძე:

„კავშირნიში“ შემდეგს სამუსიკო ტერმინებს ვხედავთ - „მზახრ, ჟირ და ბამ“ - რომელიც უნდა უდრიდნენ ქართული გალობის სამ ხმას.“⁶

• გრ. ჩხილაძე:

„ეს ცნობა უთუოა, კატეგორიულია, მასში მედავნდება სამხმიანობის ეროვნული საფუძველი.“⁷

• რ. სირაძე:

„ეს არის უძველესი მოწმობა ქართული მუსიკის სამხმიანობისა. ამაზე ფიქრი, და აქედან დადგენილი კანონი იოანე პეტრიშის აზროვნების წესად იქცევა.“⁸

ძალიან შორს წაგვიყვანდა იმ ქართველ მეცნიერთა ჩამოთვლა, ვინც ეს თვალსაზრისი გაიზიარა. მათ შორისაა ჩვენს ოპონენტთა მიერ მოწმედ მოხმობილი ვ. გვახარიაც, რომელმაც მოგვიანებით გამოცემულ ნაშრომებში შეცვალა თავისი თვალსაზრისი და არაერთხელ დადასტურა, რომ: „რაც შეეხბა ქართული მდერის წესს, აქ (ნაგულისხმევია პეტრიშის თხზულების „ბოლოსიტება“ - ნ. ფ.) დასახელებულია სამხმანი წყობის ცალკეული ხმები და მითითებულია მათი ერთდროული ხმოვანება“.⁹

პრინციპულად სწორი შეფასება მისცა „მზახრი, ჟირი, ბამის ერთობა შეყვალებისავ“-ს ცნობას მზია იაშვილმა ნაშრომში „ქართული მრავალხმიანობის საკითხისათვის“. იგი წერდა: „პარმონიის შესახებ ბერძნულ სწავლებასა და ქართული მრავალხმიანობის არსზე მოძღვრებას

შორის სრული თვისებრივი სხვაობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ფილოსოფოსი შეგნებულად გმერდს არ აუკლიდა ტერმინს – „პარმონია“ და დაპირისპირებულთა ერთიანობის ცნებას არ გააიგვებდა ეროვნული წარმოშობის ტერმინთან „ერთობა შეყვალებისავ“.¹⁰

მზია იაშვილი მართალია! ქართველი ფილოსოფოსის მრწამსი მუსიკალურ ხელოვნებაში დიალექტიკის არსზე სხვაობს ბერძნულისაგან.

თხზულების ტექსტის ანალიზი ცხადყოფს, რომ საყოველთაო წესრიგის, უპირველეს ყოვლისა, მუსიკალური კეთილხმოვანების აღმნიშვნელი ზოგადილოსფიური კატეგორია „პარმონია“ კატეგორიულად უარყოფილია პეტრიშის მიერ „პარმონიის“ სანაცვლოდ თხზულებაში გამოყენებულია ქართული მხატვრული მუსიკალური სინამდვილიდან გამომავალი ისეთი გამოთქმები, როგორებიცაა: „ნართი“, „რთვა“, „რთვანი ძალთა და მათანი“, „მორთული“, „მორთულება“, „მრთველი“. სწორედ ამ ცნებების გამოყენებას ემყარება თხზულებების ნებისმიერი სამუსიკო ანალოგია.

პეტრიშის ლექსიკით, სამყარო „მორთულებაა“ (პარმონია), ხოლო ყოველივეს მიზეზი და შემოქმედი უმაღლესი ერთია („ზესთაერთი“). იგია საყოველთაო წესრიგისა და წყობის რჩეული, „კეთილმეხელოვნე“ – უმშვენიერესი „მრთველი“.¹¹

მოვუსმინოთ პეტრიშს:

„განმარტებანი“, თავი 2: „სამუსიკელოთაცა რთვათა ზედ მიესხი და მათ შორისცა იხილოცხადად ქმნული ერთი“.¹²

თავი 28: „მოირთო და იმუსიკელა ყოველთა მხადისა მიერ და დაიდგა ხატად და მსგავსებად მათ ერთებრივთა იგავთავასა“.¹³

„ჯერ არს სამუსიკოთა რთვათაებრ, რათა საშუალთა მიერ იზიარებოდინ ყოველნი, რათა მორთულება ეგოს დაუხსნელ და საუკუნო, ვთარ რჩეულ მეხელოვნისა დმრთისა მიერ მორთული“.¹⁴ მორთულება შედგმულებაა – განმარტავს პეტრიში.¹⁵

ზემოთ მოყვანილი სტრიქონების „წარმოდდება“, ანუ მათში ნაგულისხმევი აზრის ცხადყოფა უპირობოდ მოითხოვს, რომ ისინი განხილული იქნას არა მოწვევებით, იზოლირებულად ფილოსოფოსის საერთო მსჯელობიდან, არამედ როგორც კონკრეტული თეზის არსიდან გამომავალი ხატოვანი ანალოგიები.

სწორედ ამის გათვალისწინებით, თითოეული თეზის შინაარსიდან გამომდინარე, გამოთქმები „ნართი“, „რთვა“, „მორთულება“, „მორთულება“ ზოგადად ფილოსოფიური კატეგორიის – პარმონიის, პარმონიულობის სადარი ქართული ცნებებია, თუმცა მუსიკასთან მიმართებაში – ბერძნული „პარმონიისაგან“ არსობრივად განსხვავებული.

მუსიკალური „ჰარმონია“ კეთილხმოვანებაა, „მორთულებაც“ კეთილხმოვანებაა, ოდონდ შედგმული, ზეაღმართული კეთილხმოვანება.

ითანა პეტრიშვილი ის ქართველი ფილოსოფოს და მთარგმნელია, რომელსაც ყველაზე ნაკლებად შეიძლება დაბრალდეს ეროვნულისადმი ბრძან სიყვარული და პატივისცემა. პირიქით, როდესაც პეტრიშვილის მთარგმნელობით სტილს ახასიათებენ, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „მისი ლექსიკა აგებულია ბერძნულ ნორმებზე და ჩამოსხმულია ბერძნულ ყაიდაზე“,¹⁶ რომ „პეტრიშვილის ლექსიკა დამძიმებულია ბერძნიზების შემოტანით“.¹⁷ არისტოტელეობაზე მეოცენებე ქართველი ფილოსოფოსი ისტრაფვის ქართული ენის „ბერძნულისად გაწყობაზე“.¹⁸ მაშინ უნებურად იბადება კითხვა: ბერძნიზებით გატაცებული ითანა პეტრიშვილი მაინცა და მაინც მუსიკალურ ცნებებთან მიმართებაში რატომ დალატობს თავის ჩვეულებას? რა ნიშნით არ დააქმაყფილა ქართველი ფილოსოფოსი ბერძნულმა „ჰარმონიაში“? სწორედ იმ ნიშნით, რომ „სამუსოთა მრთველობაში“ სამი განსხვავებული ხმის დაპირისპირებისა და ზიარების პეტრიშვისეულ გაგებას, მუსიკალური სამების მისეულ მოდელს ბერძნულში ახალოგი და შესაბამისად შესატყვისი ცნებაც არ გააჩნია.

პეტრიშვილი XI საუკუნის მოაზროვნეა. მის თანამდროვე ფილოსოფიურ ლექსიკაში „ჰარმონია“ ფართო მნიშვნელობით დატვირთული ცნებაა. მუსიკალური თვალსაზრისით, იგი ბერძნული მუსიკალური კანონზომიერებებიდან გამომდინარეა. ჰარმონია ჰორიზონტალურ ცნებით განხორციელებული მუსიკალური დიალექტიკის, კილოს ბგერათა თანმიმდევრული ურთიერთმიმართების, „ჯერ და შემდეგის“ ზიარების პრინციპზე დაფუქნებულ კეთილხმოვანებას გულისხმობს. პეტრიშვის „მორთულება“ კი მზახრი, უირი, ბამის ვერტიკალურად აღმართული შედგმულებაა, რომლის კეთილხმოვანებაც დაბამით მიიღწევა.

ჰერალდიტე ამბობს: „ურთიერთდაშორებულნი ხვდებიან ერთმანეთს და სხვადასხვაგარისაგან უშესანიშნავეს ჰარმონია წარმოსდგება და ყოველივე ბრძოლის გზით მიიღწევა“.¹⁹ პეტრიშვილი კი შენიშვნავს: „უსწორობისაგან მორთულებისათა მიეცემის სისწორე კეთილ დადასცასა მორთულებისასა“ (სადაც ლაპარაკია სამი ხმის „დაბამვაზე“).²⁰

ეს არის ორი სხვადასხვა ეროვნების – ბერძნი და ქართველი – მოაზროვნის მიერ განსხვავებული ჭეშმარიტების მატარებელი განცხადებება.

პეტრიშვისეული სამყარო „სირაა“, წყობაა.²¹ „სირა“ მიწიდან ზეცისაკენ ზეაღმართული იერარქიული კიბეა, რომელზეც განთავსებული არიან: სხვული, ოთხთა კაგშირი (ელემენტები),

ზეცა, სული, გონი, ნამდვილყოფი, ერთნი და ბოლოს „უმწვერვალესი ერთი“. „სირაას“ სათავეში „უზესთაესი“ ერთია, როგორც დიალექტიკის უმაღლესი გამოხატულება. „სირაას“ დანარჩენ საფეხურთა მარადიული მიზანი „ერთობან მოსასვლელი გზების ძიება, ერთობან დაახლოებაა“. „უზესთაესი ერთი“ განსაკუთრებული, უპირატესი უნარით „გმთავრების“, „უმწვერვალების“ სირაას დანარჩენ საფეხურებს. ისმის კითხვა: რომელ განსაკუთრებულ თვისებაში გამოვლინდება „უზესთაესი ერთის“ უპირატესობა სირათგანვენილ სამყაროს სხვა წევრებზე? რაშია „უზესთაესი ერთის“ სირაას სხვა საფეხურთაგან განმასხვავებელი უპირატესი ნიშანი?

პეტრიშვილის დრმა რწმენით „უზესთაესი ერთის“ უპირატესობის გამომაჩინებელი ერთბამო - ბის უნარია.²² „უზესთაესი ერთი“ შემოქმედებისას გამორიცხავს „ჯერ და შემდეგის“, იგივე მიზეზ-შედეგის პრინციპს. მას უუამოდ, დროში დაუსაზღვრავად, ანუ „ერთბამო - ბის“, ერთდროულად მოაქვს მთლიანობა. სირაას სხვა საფეხურთა ყოფა და მოქმედება დანაწევრებულია და ეფუძნება „ჯერ და შემდეგის“ პრინციპს. ყოველივე ზემოთქმული პეტრიშვილის ენაზე შემდგანირად ქდერს: „თან მოაქვს მას ყოველი, ხოლო ყოველი ერთბამად, ვერ უკმატებ თან მოქონებად მისდა“.

ის კონტექსტი, რომელიც გააჩნია „ერთბამობას“ აღნიშნულ თეზაში, თავისთავად განმარტავს პეტრიშვილის ლექსიკისათვის სახასიათო სხვა „ბამ“-ფუძიან ცნებათა, მათ შორის, „დაბამვისა“ და „ბამის“ შინაარსს.

პეტრიშვილის მუსიკალური სამობა „მზახრი უირი ბამის ერთობად“ ანტიკური ესთეტიკის ცნობილი მუსიკალური სამუშალებისაგან სწორედ დაბამის ნიშნით განიჩენება. „ერთბამობაში“ ვლინდება არსობა და მოქმედება უზესთაესი ერთის; „ერთბამობით“ წარმოჩნდება „სირაას“ დანარჩენ საფეხურთაგან ზესთდებული „ერთის“ განსხვავება. „მზახრი, უირი, ბამის დაბამვაშიც“ (ერთდროულ კლერადობაში) არ არსებობს „ჯერ და შემდეგის“ პრინციპი. სწორედ ამდენად გამოადგება პეტრიშვილის იგი თავისი ქრისტიანული თუ ფილოსოფიური მრწამისის გასაცხადებლად.

რაც შეეხება დანარჩენი ორი ხმის – „მზახრისა“ და „უირის“ მნიშვნელობას, მათ კომენტარი ფაქტობრივად არ სჭირდება. მათ შესახებ ამომწურავ პასუხს სულხან-საბა ორბელიანი იძლევა. კერძოდ, „სიტყვის კონა“ გვამცნობს, რომ „მზახრი“ მზახებელია, ანუ ზახილის მოქმედი, იგივე მოქმედია. რაც შეეხება „უირს“, იგი, თავად ივ. ჯავახიშვილის განმარტებითაც და პეტრიშვისეულ სამხმიანობაში მისი მდებარეობის მიხედვითაც, რიგითობის აღმნიშვნელი ტერმინია.

პეტრიშვილის მიერ „დანახული“ ქართული სამათანობა, ანუ „მზახრი, ჟირი, ბამის“ სამება მამა, ძე, სულიწმიდის ერთებასთან ყველაზე მეტად მიახლოებული, „ზესთა ერთის სინათლის და სიყვარულის ამრეკლავი „მორთულებაა“. ქართულ სინამდვილეში შობილი, სამების ღვთიური მადლით ცხებული და გაკეთილხმოვანებული, იგი „სირაის“ მწვერვალს სწვდება, ხოლო ყოველივე ამის „მხედველი“ კი ოთანე პეტრიშვილი და იგიც აღფრთვანებული ადასტურებს ამ ფაქტის ჭეშმარიტებას თავის თხზულებაში „განმარტება პროკლესათვეს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვეს.“

გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროვ შემდეგ გარემოებებს: ნებისმიერი თეორიული დებულება დაკავშირებულია მხატვრული შემოქმედების პრაქტიკასთან. სწორედ მხატვრული სინამდვილე იქცევა უმნიშვნელოვანებს მასალად თეორიული განზოგადებისათვის. „მზახრი, ჟირი, ბამის ერთება“ მხატვრულ ფაქტს, მუსიკალურ ყოფაში დამკვიდრებულ წესს რომ არ წარმოადგენდეს XI საუკუნის ქართული ცნობიერებისათვის, პეტრიშვილის ის არ გამოადგებოდა, როგორც თვალსაჩინო მხატვრული ნიმუში.

„განმარტებანი“ არა უბრალოდ ადასტურებს XI საუკუნეში მრავალხმიანობის არსებობის ფაქტს, არამედ გვიჩვენებს, რომ XI საუკუნე ქართული მრავალხმიანი სიმღერა-გალობის უავესრულყოფის ეტაპია; შესაბამისად, გრძელია განვითარების ის ისტორიული პროცესი, რომელმაც ქართული მრავალხმიანობა თეოლოგიისათვის მისაღებ მხატვრულ ღირებულებად აქცია. დაასაბუთა რა ეროვნული მუსიკალური ხელოვნების უმთავრესი აზროვნებითი პრინციპის, სამხმიანობის, უმნიშვნელოვანებს ქრისტიანულ დოგმასთან, წმ. სამებასთან შესაბამისობის ფაქტი, პეტრიშვილით აღიარა სამხმიანობის ჭეშმარიტება და ის, რომ ქრისტიანული თვალსაზრისით იგი სრულიად მისაღებია.

წერილის დასასრულს მინდა IX საუკუნის

ქართული ეკლესიის მსოფლმხედველობის ეროვნული თვითშეგნების წარმომჩენი ერთი ნიშანდობლივი ცნობა – შეგონება მოგაგონოთ: 845-850 წლებში საგანგებო საეკლესიო კრებაც კი მოუწვევიათ, სადაც მეცნიერ ერისკაცია, გრ. სჯულის მოძღვართა საგანგებო შეკითხვაზე: „შეუეთუ ქუეყანასა ნუენისა ერისკაცი ვინმე წიგნთა საღმრთოთა მეცნიერი და ენათაცა წვრთნილი მიიწოდს იერუსალიმად, ანუ სხუათა წმიდათა ადგილთა (იგულისხმება კონსტანტინოპოლი და „საჩინონი საბერძნებისა ადგილინი“ – ნ. ვ.) და იხილოს რამე კეთილი წესი, რომელ ქრისტიანობასა შეენიდის და ჩუენ შორის არა იყოს, გინა თუ წიგნთაგან წმიდათა გულის მაყოს და თავით თუსით ერსა უსწავლელსა ასწავებდეს, კეთილ არსა ანუ არა?“

ეკლესიის ხელმძღვანელო პასუხად შემდეგი განუცხადებიათ: „წერილ არს: ტვირთი განწევებული ეყრდნობა ნავსა, უკუეთუ დაუმძიმო, დაინთქას, უკუეთუ სუბუქად იყოს, ქართა და ლელვათა წარიტაცონ“.²³

ეს პასუხი უაღრესად ნიშანდობლივია დღეს. IX საუკუნის სასულიერო მამათა ეს შეგონება მარადიულია თავისი მნიშვნელობით.

„მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და ცხორებავ“ – ამბობს ქრისტე. ეს გზა ერთია. ამ გზაზე იმდენი ნავია, რამდენიც ჭეშმარიტად აღმსარებელი ერი. რწმენის, განათლებისა და ეროვნულისადმი სიყვარულის მზიდველია თითოეული ნავი. არც ერთ საეკლესიო წესსა და განჩინებას არასოდეს არ აუკრძალავს ეროვნულისადმი სიყვარულის ზიდვა ამ ნავზე.

მკითხველს გვინდა კიდევ ერთხელ შევახსენოთ ის დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, რომ 2001 წლის 18 მაისს პარიზში გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია UNESCO-ს მიერ ქართული მრავალხმიანი მუსიკალური ხელოვნება აღიარებულ იქნა კაცობრიობის ხელთუქმნელი კულტურული მემკვიდრეობის შედევრად.

შენიშვნები:

1. ასე გალობდნენ დველად საქართველოში, პირველი, თბ., 2001, გვ. 65.
2. შ. ნუცუბიძე, იოანე პეტრიშვილი, შრომები, ტ. II, თბ., 1937, გვ. 217.
3. ასე გალობდნენ დველად საქართველოში, პირველი, თბ., 2001, გვ. 32.
4. შ. ნუცუბიძე, იოანე პეტრიშვილი, შრომები, ტ. II, თბ., 1937, გვ. 222.
5. ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1990, გვ. 300.
6. ს. გორგაძემ პირველმა მიაქცია მეცნიერთა ყურადღება სამხმიანობის დამადასტურებელ ცნობას. ს. გორგაძე, იოანე პეტრიშვილი, ნემესიოს „ბუნებისათვეს კაცისა“, ტფ., 1914, გვ. 6.
7. ერის განმარტებანი, არა უბრალოდ ადასტურებს XI საუკუნეში მრავალხმიანობის არსებობის ფაქტს, არამედ გვიჩვენებს, რომ XI საუკუნე ქართული მრავალხმიანი სიმღერა-გალობის უავესრულყოფის ეტაპია; შესაბამისად, გრძელია განვითარების ის ისტორიული პროცესი, რომელმაც ქართული მრავალხმიანობა თეოლოგიისათვის მისაღებ მხატვრულ ღირებულებად აქცია. დაასაბუთა რა ეროვნული მუსიკალური ხელოვნების უმთავრესი აზროვნებითი პრინციპის, სამხმიანობის, უმნიშვნელოვანებს ქრისტიანულ დოგმასთან, წმ. სამებასთან შესაბამისობის ფაქტი, პეტრიშვილით აღიარა სამხმიანობის ჭეშმარიტება და ის, რომ ქრისტიანული თვალსაზრისით იგი სრულიად მისაღებია.
8. რ. სირაძე, ლიტერატურული ნარკვენები, 1987, გვ. 127.
9. კავკას ი სредиземноморье, ТГУ, Тб., 1980, გვ. 228-230.
10. მ. იაშვილი, ქართული მრავალხმიანობის საკითხისათვეს, თბ., 1975, გვ. 37.

11. შ. ნუცუბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 4.
12. შ. ნუცუბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 22.
13. შ. ნუცუბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 76.
14. შ. ნუცუბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 140.
15. შ. ნუცუბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 23.
16. პ. კეპელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 252-256.
17. რ. სირაძე, ლიტერატურული ნარკვევები, 1987, გვ. 123.
18. რ. სირაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 129.
19. ანтичные мыслители, М., 1938, გვ. 13.
20. შ. ნუცუბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 217.
21. შ. ნუცუბიძე, დასახ. ნაშრ. XII; რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978, გვ. 117.
22. პ. გოგიძერიძე, რუსთაველი, პეტრიშვილი, თბ., 1961. გვ. 194.
23. პ. ინგოროვება, გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, 1954, გვ. 26.

Nino Phirckalava

Tbilisi State Conservatoire

THE CONSONANCE OF THREE VOICES IN IOANE PETRITSI'S "CONSIDERATION"

In 2001, The United Nations Educational, Scientific and Cultural Organization – UNESCO proclaimed Georgian Polyphonic Musical Arts a Masterpiece of the Oral and Intangible Heritage of Humanity (The 18th of May, 2001).

In response to the worldwide acknowledgement of ancient Georgian musical arts, so-called “Byzantine Chanting Studying Group” was established, which, with the help of the wrong interpretation of historical sources and scientific points of view, insults ancient Georgian chanting and casts doubt in its ancientness and canonicity. With neglect is denied even such significant document, which proves the ancientness of Georgian polyphony, as “Consideration of Plato Philosophy and Prokl Diadokh” after great Georgian thinker of the 11th century – Ioane Petritsi. This work proves, that, if not earlier, at least in the 11th century polyphony existed in Georgian musical arts.

Ioane Petritsi is a great expert and panegyric of the ancient Greek and his contemporary Byzantine cultures. In spite of this fact, the musical-aesthetical point of view of the Georgian thinker is different from the Greek point of view. This difference is clear when speaking about the essence of musical dialectic and also when using ancient Georgian musical terminology, which is connected with polyphony. The fact, that in the 11th century polyphony emphasizing musical terminology existed in Georgian vocabulary, denies any other point of view about the ancientness of Georgian polyphonic musical arts.

It is known, that any theoretical thesis is connected to the artistic practice and issues from it.

The consonance of three voices, as a musical fact, well known to his contemporary Georgian consciousness, Petritsi uses for the explanation of the theological dogma. By comparing the major thinking principle of the national musical art – three-voice consonance to the most important Christian Dogma – St. Trinity, Petritsi states and recognizes the canonicity of Georgian chantind.